2017

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ბიულეტენი №8

პერიოდული გამოცემა

ზამთარი 2017

ფოტო: http://bpi.ge/index.php/tbilisshi-bavshvta-mcire-saojakho-tipis-2-sakhli-

შინაარსი

1. სახალხო დამცველის მისალმება 3

2. მთავარი მოვლენა 4

2.1 ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე 4

3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა 4

3.1 საგანმანთლებლო საქმიანობა 4

3.2 პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა 5

3.3 განხორციელებული ვიზიტები 6

3.3.1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი 6

3.3.2 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორცილებული ვიზიტები 6

3.4 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან 6

3.5 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა 7

3.6 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება 7

4. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ 7

4.1 N15 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა 7

5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა 9

6. საკანონმდებლო მიმოხილვა 11

6.1 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა 11

6.2 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში 13

7. ფოკუსი 13

7.1 ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში 13

8. ექსპერტის მოსაზრება 15

9. საერთაშორისო სიახლეები 17

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

N8 ბიულეტენში წარმოგიდგენთ ინფორმაციას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ზამთრის პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

2016 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს 2016 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიში წარვუდგინე.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ფარგლებში ჩატარდა სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლებისათვის. ასევე გაიმართა პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს სხდომა.

ამავე პერიოდში ჩატარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი. გაიმართა პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების შეხვედრა აჭარის რეგიონში მომუშავე ადვოკატებთან. განხორციელდა რამდენიმე ვიზიტი პენიტენციურ დაწესებულებებში.

ბიულეტენში გაეცნობით N8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას. მიიღებთ ინფორმაციას 2016 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ რეკომენდაციების შესრულების შესახებ. საკანონმდებლო სიახლეების თავში გაეცნობით ინფორმაციას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტის შესახებ, რომლის მიხედვითაც ქალ მსჯავრდებულს, რომელსაც დაწესებულებაში ჰყავდა 3 წლამდე ბავშვი და 3 წლის ასაკის მიღწევის გამო ბავშვმა დატოვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, მიეცემა უფლება, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე დღეებში დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. ბიულეტენი აგრძელებს საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვას და გთავაზობთ ქვეთავს სახელწოდებით, „პატიმართა შემოწმების პროცედურები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“.

ნომრის ფოკუსს წარმოადგენს ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. აღნიშნული პერიოდი გამოირჩეოდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების სწავლების კუთხით. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისთვის ჩატარდა სემინარი პენიტენციურ დაწესებულებაში მოწყვლადი ჯგუფების უფლებების მონიტორინგის პრაქტიკული სახელმძღვანელოს შესახებ.

ბიულეტენში იხილავთ ჟენევაში გამართული „ჟან-ჟაკ გოტიეს სიმპოზიუმის“ შემაჯამებელ ანგარიშს, სადაც წარმოდგენილია საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის გამოცდილება მედიკამენტების ზედოზირების საკითხთან დაკავშირებით.

ასევე გაეცნობით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის უფროსისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრის მაია გედევანიშვილის მოსაზრებებს მცირე საოჯახო სახლებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

2. მთავარი მოვლენა

2.1 ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 10 დეკემბერს ცივილიზებული სამყარო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. საქართველოს სახალხო დამცველმა დიპლომატიურ კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს 2016 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

ანგარიშში ასახულია მიმდინარე წელს ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მნიშვნელოვანი მიღწევები და პრობლემები, რომელთა დაძლევის გარეშე შეუძლებელი იქნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაცია საქართველოში.

2016 წელს საქართველოს პენიტენციურ სისტემაში რამდენიმე პოზიტიური ცვლილება აღინიშნა, კერძოდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციით, საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირების მსგავსად, „C“ ჰეპატიტის სოფოსბუვირით მკურნალობა პენიტენციურ სისტემაში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი; პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შეტანილი ცვლილებებით, პატიმართა დეესკალაციის ოთახში ერთჯერადად განთავსების ვადა 72 საათამდე შემცირდა. დიდი მიღწევაა საქართველოს სახალხო დამცველისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების წესის დამტკიცება. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმართა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ, მიმდინარე წელს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურატურას მხოლოდ ორი წინადადებით მიმართა და ორივე ფაქტი 144[3] მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) დაკვალიფიცირება, რაც დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად აღნიშნულისა, პენიტენციურ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით კვლავ არაერთი პრობლემა იკვეთება. მათ შორის, დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურა, არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტები, არადამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები, სამედიცინო პერსონალის მიერ გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზები.

ისევ მწვავედ დგას პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის საკითხი, თუმცა სახალხო დამცველის წინადადებების, ან თავად განმცხადებელთა მიმართვის საფუძველზე დაწყებული გამოძიების უმეტესობაზე პროკურატურას პოლიციის თანამშრომლები პრაქტიკულად არ დაუკავებია.

პოზიტიური ტენდენციების მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ წლების განმავლობაში სულ უფრო იკლებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების სიხშირე.

3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

3.1 საგანმანთლებლო საქმიანობა

- **სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლებისათვის**

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის

სამინისტროს 22 თანამშრომელს ტრენინგი ჩაუტარა თემაზე: „პენიტენციური დაწესებულებების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მართვა“. ტრენინგს დაესწრნენ პენიტენციური დაწესებულებების დირექტორები და მოადგილეები, ასევე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო, პენიტენციური და იურიდიული დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის წარმომადგენლები.

სატრენინგო პროგრამა მიზნად ისახავდა მონაწილეთა ცნობიერების ამაღლებას პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მართვის გზებზე. მონაწილეები გაეცნენ პატიმრობის რეჟიმებს, არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიებს, საჩივრების მექანიზმს, რისკების შეფასებას, დინამიურ უსაფრთხოებას, დისციპლინურ სამართალწარმოებას, და ისეთ საკითხებს როგორიცაა: პატიმართა ჯანმრთელობა, ფსიქიატრიული პაციენტები ციხეში, თანამშრომლების დეონტოლოგია, წამების აკრძალვისა და პრევენციის საერთაშორისო ვალდებულება, გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი, სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მიმოხილვა, პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვა და სხვა.

ტრენინგს გაუძღვნენ საერთაშორისო ექსპერტი, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ყოფილი წევრი ვინსენტ ტაისი, რომელსაც 39 წლიანი გამოცდილება აქვს ლუქსემბურგში პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნიკა კვარაცხელია და ციხის საერთაშორისო რეფორმის რეგიონული დირექტორი ცირა ჭანტურია. სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

3.2 პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის 27 დეკემბერს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე სახალხო დამცველმა საკონსულტაციო საბჭოს ახალი წევრები ანა ნაცვლიშვილი და ნინო გობრონიძე წარადგინა.

სხდომა 2016 წლის განმავლობაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ გაწეული საქმიანობის შეჯამებასა და მომავალი წლის პრიორიტეტების განსაზღვრას დაეთმო; ასევე განიხილეს პენიტენციურ დაწესებულებებში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები; გაეცნენ ინფორმაციას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათ შორის, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის 30-ე სესიაზე გაკეთებული მოხსენებას; განიხილეს 2017 წლისათვის დაგეგმილი აქტივობები.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საბჭოს წევრებმა სახალხო დამცველს წარუდგინეს საკუთარი მოსაზრებები პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული აქტივობების, ანგარიშების, რეკომენდაციების ადვოკატირების სტრატეგიასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით 2014 წლის 15 დეკემბერს შეიქმნა და მისი მიზანია წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ხელშეწყობა.

საბჭოს შემადგენლობაში არიან საქართველოს სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის მოადგილეები, სახალხო დამცველის აპარატის დეპარტამენტის ხელმძღვანელები და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატთან დაკავშირებული აკადემიურ/საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე, წამების პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მოწვეული ექსპერტები.

3.3 განხორციელებული ვიზიტები

3.3.1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგი

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2016 წლის 5-7 დეკემბერს მონიტორინგი განახორციელეს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარისა და გურიის დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ხოლო 8 დეკემბერს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო და ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონულ სამმართველოებში.

მონიტორინგების მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ დაკავებულ პირებსა და თანამშრომლებს, შეამოწმეს 2016 წელს დაკავებულ პირთა საქმეებში არსებული დოკუმენტაცია, მათ შორის, დაკავების, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორში გარეგნული დათვალიერების ოქმები და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახების ბარათები.

ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით. შემოწმების შედეგად არაერთი საყურადღებო შემთხვევა იქნა დოკუმენტირებული, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას. ანალოგიურად, პოლიციის სამმართველოებში ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ პასუხისმგებელ თანამშრომლებს და შეამოწმეს დაკავებულ პირთა აღრიცხვისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირთა გადაყვანის ჟურნალები; დაათვალიერეს სამმართველოების შენობები, შეამოწმეს, თუ რამდენად ხდება ოჯახის ინფორმირება დაკავების შემდგომ, რამდენად ხელმისაწვდომია ადვოკატი და ექიმი, გამოკითხეს პოლიციის თანამშრომლები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურის შესახებ.

მონიტორინგის დროს გამოვლენილი ტენდენციები ასახულია სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

3.3.2 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტები

მონიტორინგი N14 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის - „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ სისტემაში“ 2016 წლის დეკემბრის თვიდან 2017 წლის თებერვლის თვის ჩათვლით N14, N15, N6, N18, N5, N3, N11 და N8 დაწესებულებებში განახორციელეს პატიმრების სოციოლოგიური გამოკითხვა.

პროექტი მიზნად ისახავს პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის ხელშეწყობის, პრევენციული ჯანდაცვისა და დაავადებათა პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობის, მათ შორის შესაბამისი ნორმატიული ბაზის, პატიმრობის პირობების პატიმართა ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და დაავადების რისკ–ფაქტორების შესწავლას და შეფასებას. პროექტი ასევე ითვალისწინებს მონიტორინგს, რომელიც მოიცავს სოციოლოგიურ კვლევას, სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციის ანალიზს და საველე სამუშაოებს.

3.4 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან

- #### პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების შეხვედრა აჭარის რეგიონში მომუშავე ადვოკატებთან

2016 წლის 9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის აჭარის სამმართველოს წარმომადგენლები და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები აჭარაში სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე ადვოკატებს და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრების ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაკავებულ პირთა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება. თავის მხრივ, სახალხო

დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს სახალხო დამცველის მანდატი და საქმიანობის სფერო გააცნეს.

3.5 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

სახალხო დამცველმა ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა

2017 წლის 1-3 მარტს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო ინფორმაციის გაცვლა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის განხილვა.

შეხვედრას პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებებზე მომუშავე ქართველი და აფხაზი სპეციალისტები ესწრებოდნენ. განსახილველი თემები მოიცავდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოწყვლადი ჯგუფების, კერძოდ, არასრულწლოვნების, უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებსა და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამების მნიშვნელობას. შეხვედრის მონაწილეები ასევე გაეცნენ უნგრეთის ერთ-ერთ ქალთა დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო პროგრამებს და უნგრეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობას.

სახალხო დამცველის ძალისხმევითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით შექმნილი დიალოგის ეს ფორმატი 2014 წლიდან მიმდინარეობს და შეხვედრების რეგულარულ ციკლს მოიცავს. იგი ევროსაბჭოს პოლიტიკური დირექტორატის ნდობის აღდგენის ინიციატივების ფარგლებში ხორციელდება და კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის აღდგენას ისახავს მიზნად.

3.6 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება

- #### სემინარი პენიტენციურ დაწესებულებაში მოწყვლადი ჯგუფების უფლებების მონიტორინგის პრაქტიკული სახელმძღვანელოს შესახებ

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2017 წლის 20 თებერვალს საქართველოსა და სომხეთის ეროვნული პრევენციის მექანიზმებისთვის გაიმართა სემინარი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პატიმართა მონიტორინგის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის, თანასწორობისა და გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ღონისძიებაზე პენიტენციურ დაწესებულებაში მოწყვლადი ჯგუფების (ლგბტი, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, შშმ პირებისა და ხანდაზმულთა) უფლებების მონიტორინგის პრაქტიკული სახელმძღვანელო განიხილეს.

სემინარს „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის ოფისის რეგიონული დირექტორი ცირა ჭანტურია და ბრისტოლის უნივერსიტეტის „ადამიანის უფლებათა განხორციელების ცენტრის“ უფროსი ასოცირებული მკვლევარი ელინა შტაინერტე უძღვებოდნენ.

ღონისძიება „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ პროექტის „წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემცირება პრევენციული მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერების საშუალებით საქართველოსა და სომხეთში“ და „ადამიანის უფლებათა განხორციელების ცენტრის“ ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

4. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ

4.1 N15 პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვა

პენიტენციური დაწესებულების მიმოხილვისას წარმოგიდგენთ ინფორმაციას N15 პენიტენციურ დაწესებულებაში 2009 წლიდან დღემდე არსებული მდგომარეობის შესახებ.

ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება N15

დაწესებულება მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ქსანში. იგი 3861 მსჯავრდებულზეა გათვლილი.[1]

2009–2010 წლებში აღნიშნული დაწესებულება მონიტორინგის ჯგუფის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა, ვინაიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საჩივარ–განცხადებების დიდი ნაწილი სწორედ N15 დაწესებულების ადმინისტრაციისა და თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობას შეეხებოდა.

სახალხო დამცველი 2010 წლის ანგარიში საუბრობდა იმაზე, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ N15 დაბა ქსნის დაწესებულებაში ვიზიტისას პატიმრებისაგან მიღებულ იქნა კოლექტიური განცხადებები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. კონკრეტულად კი, მსჯავრდებულების განმარტებით, აღნიშნული დაწესებულების თანამშრომლები მათ უხეშად ექცეოდნენ, ხშირად კონფლიქტში იწვევდნენ და ცემდნენ. მათივე თქმით, სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებიდან გადმოყვანისას, მსჯავრდებულს აიძულებდნენ მუხლებზე დადგომას და მისი მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში სცემდნენ.

მსჯავრდებულთა განმარტებით, ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, კარცერში მოთავსებასთან ერთად, მათ ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ. მსჯავრდებულები განმარტავდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოხატავდნენ სახალხო დამცველთან დაკავშირების სურვილს, რათა ინფორმაცია მიეწოდებინათ ზემოაღნიშნული ფაქტების შესახებ, დაწესებულებაში ითიშებოდა ტელეფონები და მათ ემუქრებოდნენ სასჯელის დამატებით. ზოგი გადაჰყავდათ საპყრობილის რეჟიმზე და ზოგს სცემდნენ. მსჯავრდებულებმა სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებს გადასცეს კოლექტიური განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა 161 მსჯავრდებული.

ქსნის N15 დაწესებულებაში, მოპყრობის მხრივ მდგომარეობა კვლავ გაუარესებული იყო 2011 წლის განმავლობაში, რასაც იმდროისათვის გაკეთებული არაერთი მსჯავრდებულის განცხადება–საჩივარი მოწმობს. მიუხედავად ამისა, დაწესებულების ადმინისტრაციასთან დაპირისპირების შიშის გამო, პატიმრების უმრავლესობა უარს ამბობდა საკუთარ საჩივარზე. კონკრეტულად კი, პატიმრები საკმაოდ რეგულარულად ჯერ ახსნა–განმარტებას აძლევენ სახალხო დამცველს, რომელშიც დეტალურად აღწერენ მათ მიმართ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებს, თუმცა ითხოვდნენ აღნიშნულის კონფიდენციალურად დატოვებას.

2011 წლისათვის დაწესებულების დახურულ ნაწილში ჩატარებული კოსმეტიკური რემონტის მიუხედავად იქ არსებული მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. საკნები კვლავ ელექტროქურების მეშვეობით თბებოდა, არ იყო საკმარისი განათება. მონიტორინგის დროს ზოგიერთ საკანში მწყობრიდან იყო გამოსული წყალგაყვანილობის სისტემა. მსჯავრდებულებს საკანში არ ჰქონდათ ტუმბოები, რის გამოც ტანსაცმლისა და პირადი ნივთების შენახვა უწევდათ საწოლის ქვეშ ცელოფნის პარკებში. დაწესებულებაში იყო სამი ბარაკის ტიპის საცხოვრებელი კორპუსი. მონიტორინგის დროს ბარაკში იყო სიცივე. ასევე, აღსანიშნავია, რომ იქ არსებული პირობების გამო, მსჯავრდებულები ვერ ახერხებენ სისუფთავის დაცვას. ამავე ნაწილში განთავსებული საპირფარეშოს სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა იყო ძალიან ცუდი. სამედიცინო ნაწილის მდგომარეობა იყო სავალალო. მსჯავრდებულთა განმარტებით, ბარაკის ტიპის საცხოვრებელ კორპუსში არ არის საკმარისი რაოდენობის საპირფარეშოები, რის გამოც დილაობით რიგში უწევთ დგომა. ქსნის N15 დაწესებულებაში საერთოდ არ იწარმოებოდა „სამარტოო საკანში მოთავსებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალი“.

მიუხედავად ამისა, ქსნის N15 დაწესებულებაში 2011 წელს მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ პროფესიული განათლება – ფითხვა, დაზუმფარება, თაბაშირ–მუყაოს დამუშავება, კაფელ–მეტლახის გაკვრა. დაწესებულებაში მოქმედებდა ბუღალტრული კურსები, ბიზნეს-მენეჯმენტის, უცხო ენის (ინგლისური) შემსწავლელი კურსები. დაწესებულებაში პერიოდულად ტარდებოდა ლექციები სხვადასხვა თემაზე. დაწესებულებაში მოქმედებდა სარეაბილიტაციო პროგრამა „სასჯელისაგან გათავისუფლების მომზადება“, რომელშიც რამდენიმე ათეული მსჯავრდებული იყო ჩართული.

[1] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №106 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ 2015 წლის 27 აგვისტო, თბილისი.

2012 წლისათვის ისევ გრძელდებოდა პატიმრების მხრიდან სახალხო დამცველისათვის კოლექტიური განცხადებით მიმართვის შემთხვევები. 2012 წელს სახალხო დამცველის სახელზე გამოგზავნილ განცხადებას ხელს აწერდა 693 მსჯავრდებული. პატიმრები საუბრობდნენ მათი უფლებების დარღვევის ფაქტებზე. მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ მათ მიმართ ხშირი იყო სიტყვიერი შეურაცხყოფა და ცემა, როგორც ხელკეტით, ასევე წიხლებით. მათ მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობას და ღირსების შემლახავ მოპყრობას ყველაზე ხშირად ადგილი ჰქონდა დაწესებულებაში მიღებისას და სამართოო საკანში მოთავსებამდე. ხშირი იყო დასჯის უკანონო მეთოდების გამოყენება მცირედი გადაცდომისთვის. გარდა ამისა, მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ დაწესებულებაში ხშირად არ მუშაობდა ტელეფონი, პატიმრებს არ მიეწოდებოდათ პრესა და არ ჰქონდათ რადიო მიმღებები.

2014 წლის მდგომარეობით, N15 დაწესებულებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. 2014 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში საუბარია N15 დაწესებულების საკნებში ფიზიკური გარემოს კუთხით არსებულ მდგომარეობაზე. კონკრეტულად კი, საკნებში არსებული ბუნებრივი განათება არ იყო საკმარისი, ამიტომ მუდმივად იყო ჩართული ხელოვნური განათება. საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ცენტრალური გათბობის სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა საცხოვრებელი საკნების გათბობას, ამიტომ მსჯავრდებულებს უწევთ ელექტროგამათბობლების შეძენა, რაც დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

2015-2016 წლის მონაცემებით მონიტორინგის დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს დაწესებულების თანამშრომლების მიერ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ შეტყობინება არ მიუღიათ. სახალხო დამცველი დადებითად აღნიშნავდა N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ თვითდაზიანების მიყენების მაჩვენებლის შემცირებას; აგრეთვე, 2016 წლის მონაცემებით სატელეფონო საუბრებისა და მაღაზიით სარგებლობისა უფლების შეზღუდვა არ დაფიქსირებულა და შემცირდა ხანმოკლე პაემანის აკრძალვის მაჩვენებელი.

მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებდა იმ ფაქტს, რომ N15 დაწესებულებებში ყველა პატიმარი კვლავ არ იყო უზრუნველყოფილი 4 m^2 საცხოვრებელი ფართით. საკნებში არ ფუნქციონირებდა ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. ცენტრალური გათბობა სრულად ვერ უზრუნველყოფდა საკნების სათანადო გათბობას. სამარტოო საკნებში სანიტარული კვანძი არა იყო გამოყოფილი ოთახის დანარჩენი ნაწილისაგან. სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმარი ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას ხვდებოდა ვიდეო მეთვალყურეობის არეალში.

დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში სამედიცინო ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი. პირველადი ჯანდაცვის პუნქტის აღჭურვილობა იყო ელემენტარული, თუმცა შეესაბამებოდა პირველადი ჯანდაცვის ძირითად საჭიროებებს.

N15 დაწესებულებებში 2016 წელს შეინიშნებოდა სარეაბილიტაციო აქტივობების სიმწირე, ასევე არსებულ აქტივობებში მსჯავრდებულთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. შესაბამისად, აღნიშნულ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესი არადამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა

რეკომენდაციების შესრულების დინამიკაში წარმოგიდგენთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ 2016 წლისათვის გაზიარებული და შესრულებული რეკომენდაციების შესახებ ინფორმაციას.

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მხრიდან რეკომენდაციების ნაწილის გაზიარებასა და აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს. მიუხედავად ამისა, 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილია მრავალი ისეთი რეკომენდაცია, რომელთა შესრულებისკენ არ არის გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები და რომლებიც მოითხოვს სამინისტროს მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციები:

სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად შემუშავდეს და დაინერგოს დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმა, რომელშიც შესაძლებელი გახდება სხეულის დაზიანების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეტანა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი“.[2]

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მხრიდან აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას.

2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა შეაფასა „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი და გასცა რეკომენდაცია მასში გარკვეული ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

კონკრეტულად კი, საგამოძიებო უწყების სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსადმი დაქვემდებარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ექიმი მიიღებს ინფორმაციას ან დაასკვნის, რომ პატიმარი შესაძლოა დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, ექიმა პირდაპირ გაუგზავნოს შეტყობინება საქართველოს მთავარ პროკურატურას.

სახალხო დამცველი პრობლემურად მიიჩნევს, ბრძანებაში არსებულ ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც პაციენტის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში შემოწმება არ უნდა ჩატარდეს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ნორმა შეიცავს რისკს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი არ იგრძნობს თავს დაცულად და არ ექნება მოლოდინი, მისი უფლებების დამრღვევები სათანადოდ იქნებიან დასჯილები, შესაძლოა არ მოისურვოს საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინება.

იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი თანახმაა არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ექიმი ვალდებულია, გადაუგზავნოს ეს ინფორმაცია შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. თუ პატიმარი უარს აცხადებს ამა თუ იმ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ექიმმა უნდა აწონ-დაწონოს, რა უფრო მნიშვნელოვანია, პოტენციური საფრთხე მოცემული პაციენტისთვის, თუ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებით მიღებული სარგებელი ყველა პატიმრისათვის.

/რეკომენდაცია შესრულებულია/

კანონით დარეგულირდეს დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახში პატიმრის მოთავსების საფუძვლები, პროცედურა და მაქსიმალური გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 24 საათზე მეტი. ასევე განისაზღვროს ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირი, გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი და მისი გამოყენებისას პატიმრის სამართლებრივი დაცვის გარანტიები

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლითაც დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ ვადად 72 საათი განისაზღვრა. მიუხედავად ამისა, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია, დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი.

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია/

შესაბამისი ბრძანებით განსაზღვროს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა (არანაკლებ 10 დღისა) და უზრუნველყოს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე

სახალხო დამცველი წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერების შენახვის მინიმალურ ვადად 120 საათის (5 დღე-ღამე) განსაზღვრას. მიუხედავად ამისა, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია მითითებული ჩანაწერები ინახებოდეს არანაკლებ

[2] აღნიშნული ბრძანების თანახმად, მითითებული წესი ამოქმედდება 2017 წლის 1 აპრილიდან.

10 დღის ვადით, ხოლო დეესკალაციის ოთახებში განხორციელებული ჩანაწერები – 1 თვის ვადით. ამასთან, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იქნას ასეთ ჩანაწერებზე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების დაუბრკოლებელი წვდომა.

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია/

უზრუნველყოფილი იქნას ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების დაწესებულებაში მიღებისა და გაყვანისას მათი შემოწმება ღირსების შელახვის გარეშე, ბანკოკის წესების 19–ე წესის გათვალისწინებით

სახალხო დამცველი მიესალმება N5 ქალთა დაწესებულებაში სკანერის აპარატების დამონტაჟებასა და დაწესებულების დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანას, რომლის შესაბამისად, ბრალდებულ/მსჯავრდებულს უფლება აქვს პირადი სრული შემოწმება სკანერის გამოყენებით გაიაროს.

მიუხედავად ამისა, როგორც მონიტორინგის დროს დადგინდა, დაწესებულებაში, ყველა შემთხვევაში არ ხდება სკანერის, როგორც ალტერნატიული მეთოდის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ სკანერის, როგორც ალტერნატიული მეთოდის გამოყენება, გულისხმობს არა სრული შემოწმების მეთოდთან ერთად მის გამოყენებას, არამედ სრული შემოწმების (გაშიშვლებით შემოწმებისა და გინეკოლოგიური შემოწმების) ალტერნატივას, რომლის გამოყენების შემდგომ არ უნდა მოხდეს შემოწმების სხვა, დამატებითი მეთოდების გამოყენება.

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია/

დაინერგოს სუიციდის პრევენციის პროგრამა პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში

დადებითად უნდა აღინიშნოს სუიციდის პრევენციის პროგრამის პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში ამოქმედება, თუმცა მნიშვნელოვანია, შეფასდეს სუიციდის პრევენციის პროგრამის მუშაობის ეფექტიანობა, რათა გამოვლინდეს პროგრამის ხარვეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით, პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები შევიდეს.

/რეკომენდაცია შესრულებულია/

შევიდეს შესაბამისი ცვლილება პატიმრობის კოდექსში და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმრებს მიეცეთ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება

დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ინიციატივა, რომლის თანახმადაც განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისთვის გათვალისწინებული იქნება წელიწადში ერთი ხანგრძლივი პაემანი და დამატებით ერთი პაემანი წახალისების სახით. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ეს ინიციატივა მალე აისახება პატიმრობის კოდექსში, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს ოჯახთან კონტაქტის შენარჩუნებისაკენ მიმართული ძალისხმევა.

/რეკომენდაცია გაზიარებულია - შესრულებისაკენ ნაბიჯები გადადგმულია/

6. საკანონმდებლო მიმოხილვა

6.1 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა

პატიმართა შემოწმების პროცედურები

მანდელას წესების შესაბამისად, პატიმრებისა და საკნების ჩხრეკის მარეგულირებელი კანონები და დებულებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს და ითვალისწინებდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს ციხეებში უსაფრთხოების შენარჩუნების საჭიროების გათვალისწინებით. ჩხრეკა უნდა ტარდებოდეს ჩხრეკის ობიექტის, ადამიანური ხელშეუვალი ღირსებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემით, თანაზომიერების, კანონიერებისა და აუცილებლობის პრინციპების დაცვით.[3]

სხეულის შემოწმების ინვაზიური ბუნებიდან გამომდინარე, სრული შემოწმება შესაძლებელია იყოს დამთრგუნველი ან დამამცირებელი ყველა დაკავებულისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრის სხეულის სრული შემოწმება გამოყენებულ იქნეს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მკაცრად აუცილებელია დაწესებულებაში, პატიმრებისა და

[3]გაეროს გენერალური ასამბლეა, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 50, რეზოლუცია მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 2016 წლის 8 იანვარს, A/RES/70/175.

გარშემომყოფთა უსაფრთოხებისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად.[4]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სრული გაშიშვლება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული ეჭვის საფუძველზე, შესაბამის გარემოში და განხორციელდეს ღირსების პატივისცემის პირობებში.[5]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *უეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* - აღნიშნა, რომ სრული შემოწმება, ზოგადად, წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სრული შემოწმების გამოყენება იყოს კანონთან შესაბამისობაში, გამოიყენებოდეს, როგორც აუცილებელი ზომა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[6]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, პატიმრობის კოდექსი[7] და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ითვალისწინებენ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირად შემოწმებას.[8] პენიტენციური დაწესებულებების დებულებები აკონკრეტებენ, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი შემოწმება შეიძლება იყოს არასრული და სრული. ბრალდებულის პირადი არასრული შემოწმება ტარდება, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფოტოდაქტილოსკოპთან, ექიმთან, გამომძიებელთან წარდგენამდე და წარდგენის შემდეგ; ახლო ნათესავებთან ან სხვა პირებთან შეხვედრამდე და მის შემდეგ; სხვა საკანში გადაყვანისას; ასევე, სხვა შემთხვევებში დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე.

პირადი არასრული შემოწმებისგან განსხვავებით, პენიტენციური დაწესებულების დებულებები, პატიმრის სრულ შემოწმებას ითვალისწინებს ბრალდებული/მსჯავრდებულის დაწესებულებაში პირველად შემოსახლებისა და მის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვებისა და დაბრუნების ყველა შემთხვევაში.[9] აგრეთვე, პენიტენციური დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით, სრული შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა შემთხვევებშიც.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული დანაწესი, რომლის მიხედვითაც ბრალდებული/მსჯავრდებულის სრული შემოწმება უნდა განხორციელდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირველად შემოსახლების, დაწესებულების დროებით დატოვებისა და დაბრუნების ყველა შემთხვევაში, წარმოადგენს ბლანკეტური ხასიათის ნორმას, რომელიც იძლევა სრული შემოწმების რუტინულად და დაუსაბუთებლად განხორცილების შესაძლებლობას.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სრული შემოწმების გარდა, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული სრული შემოწმება და შინაგანი შემოწმება და არ არის დადგენილი თითოეულის გამოყენების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია დადგინდეს, თუ რომელი შემოწმების მეთოდია გამოსაყენებელი კონკრეტულ შემთხვევაში, რაც უფრო მეტად ზრდის ინვაზიური მეთოდის დაუსაბუთებლად გამოყენების შესაძლებლობას.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, პენიტენციური

---

[4]წამების პრევენციის ასოციაცია(APT), დაკავება ფოკუსში - სხეულის შემოწმება, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/6/ [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[5]ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ბულგარეთის მთავარობისადმი ბულგარეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ 2014 წლის 24 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით, გამოქვეყნდა 2015 წლის 29 იანვარს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng#{"fulltext":["squat"],"CPTSectionID":["p-bgr-20140324-en-23"]} [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[6]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის განჩინება საქმეზე *უეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wainwright v. the United Kingdom),* პარ 42-43.

[7] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხლი 75 ნაწილი 4.

[8] N5 დაწესებულების დებულება, 22(2).

[9]საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №149, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 29.

დაწესებულებების დებულებებით მოხდეს „გაშიშვლებით შემოწმებისა“ და „შინაგანი შემოწმების“ ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა და, თითოეულის შემთხვევაში, ცალ-ცალკე მკაფიო პროცედურების დადგენა.

6.2 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

ბანგკოკის წესების თანახმად, „გადაწყვეტილება, თუ როდის შეიძლება ბავშვისა და დედის დაშორება, მიღებული უნდა იქნას ინდივიდუალურ შეფასებაზე დაყრდნობით და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში.“[10] 2015 წელს სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ სახალხო დამცველმა ანგარიშში გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც მოითხოვდა, ბავშვის დედისაგან განცალკევებისას არ ეხელმძღვანელათ მხოლოდ ფორმალური წესებით და გადაწყვეტილებისას მიღებისას ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და განვითარების დონე გაეთვალისწინებინათ.[11]

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მომზადებულ პატიმრობის კოდექსსა და თანმდევ კანონებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომელიც დედათა მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიხედვით, სამი წლის ასაკის მიღწევის გამო, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებისას, იმისათვის, რომ იგი გარე სამყაროს შეეგუოს და ბავშვის ტრავმირება დედასთან განშორების დროს მინიმუმამდე შემცირდეს, ცვლილებები შედის პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლში, კერძოდ, ქალ მსჯავრდებულს, რომელსაც დაწესებულებაში ჰყავდა 3 წლამდე ბავშვი და 3 წლის ასაკის მიღწევის გამო ბავშვმა დატოვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, მიეცემა უფლება, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე დღეებში (შაბათ-კვირა) დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება მსჯავრდებულისგან მომდინარე საზოგადოებრივი საშიშროება, მისი პიროვნული თვისებები, კრიმინალური წარსული, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებსაც პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინებს.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ბავშვის სამი წლის ასაკის მიღწევის გამო დაწესებულების დატოვების წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე მუშაობის დაწყების ვალდებულების კანონპროექტის გარდამავალი დებულებით განსაზღვრას. სახალხო დამცველი დააკვირდება აღნიშნული წესის მიღებისა და პრაქტიკაში მისი განხორციელების პროცესს.

7. ფოკუსი

7.1 ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში

2016 წლისათვის კვლავ პრობლემად რჩება არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის საკითხი მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი არაერთ ანგარიშში მოუწოდებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, უზრუნველყოს სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება, მათ შორის ინდივიდუალური განვითარების გეგმების სათანადოდ შემუშავების საკითხებზე, ამ ეტაპზე ეს კვლავაც არ არის უზრუნველყოფილი.

პრობლემად რჩება აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი ბავშვთა ქცევის მართვისა და ძალადობისგან დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, რაც აბრკოლებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დროულ გამოვლენას და მათი შესაბამისი დახმარებით უზრუნველყოფას. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[12] რეგისტრირებულია 46 მცირე საოჯახო ტიპის

[10] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 52.

[11] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2015 წლის 19-20 თებერვალი), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3285.pdf [ბოლოს ნანახია: 19.02.2017].

[12] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, კორესპონდენცია N04/17494, 23.03.2017.

სახლი, სადაც განთავსებული 322 ბენეფიციარიდან 25 ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა.

2016 წელს სულ 99 ბავშვის რეინტეგრაცია განხორციელდა, და ამათგან 93 ბენეფიციარი სრულწლოვანების მიღწევის გამო ამოირიცხა. მნიშვნელოვანი პრობლემაა არასრულწლოვნების მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბენეფიციარები სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ტოვებენ სახელმწიფო ზრუნვას.

სამწუხაროდ, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს სახელმწიფო მზრუნველობიდან გასული არასრულწლოვნების მომსახურებას. საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშში ასახულია სახელმწიფო ზრუნვის ფორმების ხშირი ცვლის პრობლემის შესახებ, რაც ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვნებზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს.

2016 წელს მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან მინდობით აღზრდაში სულ 8 ბავშვი გადავიდა, სხვა საოჯახო ტიპის სახლში – 8, ლტოლვილთა თავშესაფარში – 1, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში – 1. მინდობით აღზრდიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადავიდა 9 ბავშვი, გადაუდებელი მინდობით აღზრდიდან რეგულარულ მინდობით აღზრდაში 198 ბავშვი, ხოლო სხვა მიმღებ ოჯახში 142 ბენეფიციარი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ განთავსებული ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის პროცესი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებზე ძალადობის სულ 10 შემთხვევაა იდენტიფიცირებული. მათგან ერთი ბულინგის, ხოლო 7 აღმზრდელების მხრიდან ძალადობის შემთხვევა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის საკითხი რელიგიურ სკოლა–პანსიონებში. მიუხედავად იმისა, რომ დაიწყო ლიცენზირების პროცესი მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლა–პანსიონების ნაწილში, აღნიშნული კვლავ ეწინააღმდეგება დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს და არ არის დაცული ბავშვის ოჯახთან მიახლოებულ გარემოში აღზრდის პრინციპი. 2015 წლიდან დღემდე სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია მიიღო საპატრიარქოს სამმა თავშესაფარმა, სადაც ამ ეტაპზე განთავსებულია 241 ბავშვი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შეფასდა თავშესაფარში მცხოვრები ბენეფიციარები, 2015 წლიდან დღემდე მხოლოდ 3 არასრულწლოვნის რეინტეგრაცია განხორციელდა. 2016 წლის 30 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა და სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა, არაგეგმიური მონიტორინგი ჩაატარეს საქველმოქმედო ფონდის „სოციალური პარტნიორობა“ მცირე საოჯახო ტიპის სახლში. მონიტორინგის მიზანი იყო მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლში არსებული გარემო ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა სხვა საკითხებთან ერთად, გამოიკვეთა ბავშვის აზრის გათვალისწინებისა და მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის პრობლემა.

გაირკვა, რომ სკოლის მიღმა აქტივობებში ჩართვას სახლის ხელმძღვანელობა წყვეტს და არ არის გათვალისწინებული ცალკეული ბენეფიციარის არჩევანი, მათი ინდივიდუალური ინტერესები და შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ საქველმოქმედო ფონდ „სოციალური პარტნიორობა“ მცირე საოჯახო ტიპის სახლში შექმნილი ემოციური და სოციალური გარემო ძირითადად ორიენტირებულია ბავშვის განვითარებაზე, მკაცრად გაწერილი დღის რეჟიმი, სახლის ასევე მკაცრი შინაგანაწესი და ბავშვებზე დაწესებული მკაცრი ზედამხედველობა არ აძლევს მათ თავისუფალი არჩევანის საშუალებას, არ ითვალისწინებს ბენეფიციარის ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. ამავდროულად, სახლში არ ირიცხებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რაც ვერ უზრუნველყოფს მომსახურების თანაბარ ხელმისაწვდომობას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სახლში მიმდინარეობს 24 საათიანი აუდიო–ვიდეო კონტროლი, რაც უარყოფითად აისახება ბავშვებისა და აღმზრდელების ემოციურ მდგომარეობაზე. ეს ხელს არ უწყობს კეთილგანწყობაზე, ნდობასა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას და ბავშვებისა და აღმზრდელების მხრიდან უარყოფითი ემოციების საფუძველი ხდება, რაც

პირველ რიგში არღვევს ბავშვის ოჯახთან მიახლოებულ გარემოში აღზრდის პრინციპს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სახლში თვალსაჩინო ადგილზეა დამაგრებული „ანონიმური ყუთი“, მაგრამ ყუთის არეალის მუდმივი აუდიო-ვიდეო მეთვალყურეობის გამო, ბავშვებს ანონიმურობის დაცვის შესაძლებლობა არ აქვთ. საქველმოქმედო ფონდ „სოციალური პარტნიორობა“ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

8. ექსპერტის მოსაზრება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის უფროსისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრის მაია გედევანიშვილის მოსაზრებები მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა, მისივე ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით სარგებლობდეს“.

ამავე კონვენციის 27–ე მუხლით დაცულია ბავშვის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების სათანადო დონით, ხოლო ამავე მუხლის მე–3 პუნქტი განსაზღვრავს სახელმწიფოების ვალდებულებას, ,,დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში, აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალურად ეხმარებიან და თანადგომას უწევენ პროგრამებს, უწინარესად, საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით“.

მყარი და სტაბილური ოჯახი ბავშვის კეთილდღეობის საფუძველია. დღეს საქართველოში ყველა ოჯახი ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საჭიროებებს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია, თავად აიღოს ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებლობა და მას განვითარებისათვის შესაბამისი პირობები შეუქმნას.

სახელმწიფო ზრუნვის ერთ-ერთი ფორმაა ბავშვის მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსება და ოჯახთან მიახლოებული გარემოს შექმნა მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. ბენეფიციარებმა უნდა მიიღონ მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება. მომსახურების ინდივიდუალური მიდგომა მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების პროცესში და ზრდის იმის პერსპექტივას, რომ არასრულწლოვანმა სრულად მოახდინოს თავისი შესაძლებლობების განვითარება.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში დაიხურა თითქმის ყველა დიდი ზომის ბავშვთა სახლი და გაჩნდა ალტერნატიული, ოჯახური ტიპის სააღმზრდელო მომსახურებები. ამჟამად სახელმწიფო მართვაში დარჩენილია ორი დიდი ზომის ბავშვთა სახლი, რომელთა დეინსტიტუციონალიზაციაც რჩება ერთერთ გამოწვევად ბავშვზე ზრუნვის რეფორმის ფარგლებში.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ხდებოდა დარჩენილი სახლების დეინსტიტუციონალიზაციის ადვოკატირება და რესურსების მობილიზება სახელმწიფოსათვის ტექნიკური დახმარების გასაწევად. ასევე მომზადდა დეინსტიტუციონალიზაციისათვის საჭირო ალტერნატიული მომსახურებების კონცეფცია, რომელიც გულისხმობს ბავშვთა მიტოვების შემცირებასა და ინსტიტუციის ალტერნატიული ოჯახური ტიპის სერვისების (მინდობით აღზრდა, საექთნო და სპეციალიზებული მცირე საოჯახო სახლები) განვითარებას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ოჯახურ გარემოში ცხოვრების უზრუნველსაყოფად, გარდა ჩამოთვლილი მომსახურებებისა, მნიშვნელოვანია ოჯახის მხარდამჭერი, მინდობით აღზრდისა და სხვა სათემო მომსახურებების განვითარება.

დაგეგმილია მინიმუმ 2 სპეციალიზებული მცირე საოჯახო სახლის შექმნა იმ კონცეფციის შესაბამისად რომელიც მომზადდა სამოქალაქო საზოგადოების მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით 2013 წელს. კონცეფცია გულისხმობს კარგად აღჭურვილი და მომზადებული სერვისის შექმნას 6 შეზღუდული შესაძლებლობის/ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვისათვის, ერთი დამატებითი, გადაუდებელი ადგილით.

აღნიშნულის შესაბამისად, ქუთაისში დაარსდა და ამა წლის 29 მარტს გაიხსნა მცირე საოჯახო ტიპის სახლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის, სადაც 7 ბავშვი გადავიდა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლიდან 2016 წლის დეკემბერში. დაგეგმილია, რომ 2017 წლიდან დამატებით დაიწყოს ფუნქციონირება მეორე სახლმაც.

საქართველოს სახალხო დამცველი რეგულარულად ახორციელებს ბავშვთა სახლების გეგმიურ მონიტორინგს, რა დროსაც ფიქსირდება არაერთი პრობლემა, რომელთა შეფასება და სათანადო სახელმწიფო უწყებებისათვის მათზე ყურადღების გამახვილება ბავშვთა სახლებში შემდგომი გეგმიური ვიზიტების აუცილებლობას გულისხმობს.

2014–2016 წლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არსებული ხარვეზების დიდი ნაწილის მოგვარებას ხანგრძლივი დრო ესაჭიროება, რაც, თავის მხრივ, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, წლების წინ დაფიქსირებული პრობლემების ერთი ნაწილი კვლავ პრობლემად რჩება. მათ შორის, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აღმზრდელთა და პერსონალის კვალიფიკაცია, ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა, ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაცია ძალადობის პრევენცია, აგრეთვე, ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვის უფლება, მათი ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული მომსახურება, განათლების უფლება, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება[13].

ზემოთჩამოთვლილ ხარვეზებთან ერთად, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს სერიოზულ ზიანს აყენებს ისეთი ბავშვთა სახლების არსებობა, სადაც ბავშვზე ზრუნვა არ ხორციელდება სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით[14].

მოცემული სისტემის შემდგომი განვითარებისთვის, აუცილებლობას წარმოადგენს ახალი სერვისების დაფუძნება, ბავშვზე მორგებული ფიზიკური გარემოს შემდგომი გაუმჯობესება, განათლების, ჯანდაცვის, თემსა და ფართო საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობის დახვეწა. სისტემაში არსებული ხარვეზების დაძლევა ხელს შეუწყობს პროცესის დინამიურ წინსვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ზოგადი ხარვეზების აღმოფხვრა შემდგომშიც გაჭიანურდა, სისტემა აღარ განვითარდება.

[13]მნიშვნელოვანი პრობლემაა არასრულწლოვნების მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბენეფიციარები სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ტოვებენ სახელმწიფო ზრუნვას. ის ფაქტი, რომ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს სახელმწიფო მზრუნველობიდან გასული არასრულწლოვნების მომსახურებას, განსაკუთრებით დიდ პრობლემას წარმოადგენს. საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშში ასახულია სახელმწიფო ზრუნვის ფორმების ხშირი ცვლის პრობლემის შესახებ, რაც ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვნებზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს.

[14] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის საკითხი რელიგიურ სკოლა–პანსიონებში. მიუხედავად იმისა, რომ დაიწყო ლიცენზირების პროცესი მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლა–პანსიონების ნაწილში, აღნიშნული კვლავ ეწინააღმდეგება დეინსტიტუციონალიზაციის პროცესს და არ არის დაცული ბავშვის ოჯახთან მიახლოებულ გარემოში აღზრდის პრინციპი. 2015 წლიდან დღემდე სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია მიიღო საპატრიარქოს სამმა თავშესაფარმა, სადაც ამ ეტაპზე განთავსებულია 241 ბავშვი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შეფასდა თავშესაფარში მცხოვრები ბენეფიციარები, 2015 წლიდან დღემდე მხოლოდ 3 არასრულწლოვნის რეინტეგრაცია განხორციელდა.

9. საერთაშორისო სიახლეები

ჟენევაში გამართული ,,ჟან-ჟაკ გოტიეს სიმპოზიუმის'' შემაჯამებელი ანგარიში ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის შესახებ

,,ჟან-ჟაკ გოტიეს სიმპოზიუმის'' ანგარიში ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის შესახებ წარმოადგენს 2016 წლის 6-7 სექტემბერს ქალაქ ჟენევაში სიმპოზიუმის ფარგლებში გამართული დისკუსიების დროს განხილული საკითხების კრებულს.

რიგით მესამე სიმპოზიუმის მიზანი იყო, მიეცა საშუალება პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის განეხილათ ის სირთულეები, რასაც ისინი აწყდებიან ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პრევენციული მანდატის განხორციელების კუთხით.

ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ მედიკამენტების ზედოზირების და ქიმიური შეზღუდვის საკითხის მონიტორინგის გამოცდილება. კონკრეტულად კი ანგარიშში საუბარია, რომ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი მკურნალობას აფასებს ფარმაკოლოგიური (მედიკამენტის სახეობა და დოზა) და სამართლებრივი (წარმოადგენს თუ არა აღნიშნული მედიკამენტის გამოყენება არასათანადო მოპყრობას) თვალსაზრისით. აღნიშნული მიდგომა დაფუძნებულია წინაპირობაზე, რომლის მიხედვითაც მკურნალობა უნდა ითვალისწინებდეს ინდივიდუალურ მიდგომას. ნებისმიერ მკურნალობას უნდა გააჩნდეს თერაპიული ღირებულება და ის არასოდეს არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც სადამსჯელო ღონისძიება.

საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი ამოწმებს, თუ რამდენად იყენებს ექიმი მედიკამენტის სახეობისა და დოზის შერჩევისას ქვეყანაში მოქმედ კლინიკურ გაიდლაინებს. პრევენციის ეროვნული მექანიზმი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მედიკამენტური მკურნალობა არ წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას და ასევე იმ ფაქტს, რომ მედიკამენტებს გააჩნია გვერდითი ეფექტები, რომელთა მართვაც აუცილებელია.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი მედიკამენტურ მკურნალობას აფასებს შემდეგნაირად: ადგენს მედიკამენტის გამოყენებისა და დოზირების სისწორეს; არკვევს არის თუ არა პირის მდგომარეობა სტაბილური, შეინიშნება თუ არა გაუმჯობესება, ასევე ხდება თუ არა გვერდით ეფექტების ადეკვატური მართვა. იმ შემთხვევაში, თუ არ არის პოზიტიური შედეგები, დანიშნულება უნდა შეიცვალოს.

საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით რეკომენდაციას უწევს პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს:

- მიიღონ სპეციალური ცოდნა ფარმაკოლოგიური მკურნალობის არსებული სქემების შესახებ;
- დაადგინონ მედიკამენტების სისტემური ზედოზირება;
- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ რისკ-ფაქტორებს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზედოზირება. ეს რისკ-ფაქტორებია: შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ნაკლებობა; დაწესებულებებში არსებული ცუდი ფიზიკური გარემო (მატერიალური პირობები); ინდივიდუალური ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, ასევე პრევენციისა და დეესკალაციის სტრატეგიის არარსებობა, პაციენტსა და პერსონალს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა.[15]

[15] წამების პრევენციის ასოციაცია (APT), ჟან-ჟაკ გოტიეს 2016 წლის სიმპოზიუმი, ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში, გვ. 30, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: http://www.apt.ch/content/files_res/report-jjg-symposium-2016-en.pdf [ბოლოს ნანახია: 24.04.2017].

საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი 2017 წელი

2009 წლის 16 ივლისს "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სახალხო დამცველის ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

საქართველოს სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას.პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.

კონტაქტი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ: +99532 2234499/2913814/2913815/
2913841/2913842/2913843/2913875/2913876
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
ვებ-საიტი: www.ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქუჩა N9
ტელ: 0422 27 05 44
მობ: 577 50 52 31

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ: 0415 22 36 11
მობ: 577 50 52 34

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქუჩა 4
ტელ: 0362 22 32 83
მობ: 577 12 27 70

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.3
ტელ: 0350 27 99 27
მობ: 591 88 35 38

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
ტელ: 0431253350
მობ: 577 55 33 81

გორი:
სამების ქუჩა N1
ტელ: 0370270549
მობ: 577 78 27 42

მარნეული:
რუსთაველის ქუჩა N51
ტელ: 0357 221970

ოზურგეთი :
დავით აღმაშენებლის N9
ტელ: 0496 27 30 53